

„სპორტული ავტომობილებისთვის სასტარტო ნომრების მინიჭების შესახებ“

1. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ პროფესიონალურ რბოლებში მონაწილე ყველა პროფესიონალი მრბოლელი ვალდებულია სარბოლო ბოლიდზე განთავსებული ჰქონდეს სასტარტო (საბორტო) ნომერი, რომელიც მას მიენიჭება სსსფ-ს მიერ.

2. მრბოლელს შეუძლია თვითონ აირჩიოს სასტარტო ნომერი. რომლითაც მონაწილეობს ყველა ტიპის პროფესიულ რბოლებში.

3. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ პროფესიონალურ რბოლებში მონაწილეობის მისაღებად სასტარტო ნომრის არჩევა ხდება არსებული თავისუფალი ნომრებიდან (მაქსიმუმ სამ ნომერზე), მრბოლელის განაცხადის საფუძველზე. მრბოლელზე მინიჭებული სასტარტო ნომერი მის განკარგულებაში რჩება მთელი მიმდინარე სარბოლო სეზონის მანძილზე პროფესიონალურ რბოლებში მონაწილეობის დროს.

4. მომდევნო ორი წლის განმავლობაში თუ მრბოლელი არ განაახლებს მრბოლელის ლიცენზიას, მას ჩამოერთმევა უფლება იმ საბორტო ნომერზე, რომლითაც ისარგებლა ბოლო დროს. ორი პროფესიონალური სარბოლო სეზონის გამოტოვების შემდეგ მრბოლელი კარგავს სასტარტო ნომერზე უფლებას.

5. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ პროფესიონალურ ღია ტურნირებში მონაწილე უცხო ქვეყნის ლიცენზიის მფლობელი მონაწილეები ვალდებული არიან დაემორჩილონ აღნიშნულ განკარგულებას. ასეთი ლიცენზიის მფლობელ მრბოლელს ნომერი ეძლევა მხოლოდ ერთი სპორტული სეზონის პერიოდში სარგებლობის უფლებით.

6. დაუშვებელია ერთნაირი სასტარტო ნომრის არსებობა ორ ან მეტ დამოუკიდებელ ბოლიდზე, თუნდაც მონაწილეობდნენ სხვადასხვა კლასში.

7. დაუშვებელია ერთი და იგივე ნომრით სარგებლობა ორი და მეტი მრბოლელის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მრბოლელები ვერ შეთანხმდებიან, სსსფ იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას და ორივე მრბოლელს ერთმევა აღნიშნულ საბორტო ნომერზე უფლება, ირჩევენ თავისუფალი ნომრებიდან ახალს, ხოლო ჩამორთმეული ნომერი არ გაიცემა მომავალ სარბოლო სეზონამდე.

8. სსსფ იტოვებს უფლებას გასცეს საბორტო ნომრები კონკრეტული რბოლისთვის, რა დროსაც ყველა მონაწილემ, მიუხედავად იმისა აქვს თუ არა საკუთარი მუდმივი საბორტო ნომერი, უნდა ისარგებლოს მხოლოდ ახალი მინიჭებული ნომრით ამ კონკრეტული რბოლის მანძილზე, ყველა სხვა ნომერი უნდა იქნა დაფარული ან მოცილებული.

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია

10,01,2017 წელი